პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 162 (11166)

ხუთშაბათი, 17 ივლისი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

პროფკავშირული კომიტეტის ფართო უფლებები. — „პრავდის“ 16/VII მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით (1-ლი გვერდი).

მის აღმატებულებას ბატონ აბდელ ქერიმ კასემს ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).

ამხანაგები ა. იუგოვი და რ. დამიანოვი სოხუმში (1-ლი გვერდი).

მეტალურგიის დღის შესახვედრად. — **ზ. მერკვილაძე.** — მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი სამშობლოს (მე-2 გვერდი).

რეპორტაჟი. — **ვ. შავგულიძე, ო. კაციტაძე, შ. ჯავახაძე.** — სოფლის მეურნეობის ინსპექცია სამუშაოზე (მე-2 და მე-3 გვერდი).

თბილისის 1500 წლისთავისათვის. — დედაქალაქის უფრო გალამაზებისათვის. რაიონულ ბიბლიოთეკაში (მე-2 გვერდი).

ნ. ჯანჯღავა, გ. ნოდია. — ერთი სოფლის ადამიანები (მე-3 გვერდი).

მივბაძოთ მოწინავე მეჩაიეებს (მე-3 გვერდი).

ბ. ჩხაიძე. — ვეზრუნოთ ბახმაროს ეთერმოწყობისათვის (მე-3 გვერდი).

უშიშროების საბჭოში (მე-3 და მე-4 გვერდი).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობა (მე-4 გვერდი).

ცნობა. — ერაყი (მე-4 გვერდი).

ერაყის ამბები (მე-4 გვერდი).

პროფკავშირული კომიტეტის ფართო უფლებები

„პრავდის“ 16/VII მოწინავე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მთელ თავის საქმიანობაში პარტია ხელმძღვანელობს ყრილობის მითითებით იმის შესახებ, რომ „კომუნისტური მშენებლობის დიდი ამოცანები მოითხოვს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ ამაღლებას სახელმწიფოს მართვაში, მთელ მის ორგანიზატორულ-სამეურნეო საქმიანობაში მასების კიდევ უფრო ფართო მონაწილეობას“.

კომუნისტური პარტიის ღონისძიებათა შორის, რომელთა მიზანია საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარება, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას „სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ“. პლენუმის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პროფესიული კავშირები მოწოდებული არიან გააძლიერონ საქმიანობა წარმოების მართვაში მშრომელთა მოსაზიდად, კიდევ უფრო აამაღლონ მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, რომლის მიზანია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობა, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირონ ისინი კომუნისტური პარტიის გარშემო. აღნიშნა რა, რომ პროფესიული კავშირების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით მათს პირველად ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაფართოვდეს პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ფუნქციები.

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა“ დებულების დამტკიცების შესახებ. ეს ახალი დებულება, როგორც ნათქვამია ბრძანებულებაში, მიღებულია სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში პროფკავშირთა გაზრდილი როლის გათვალისწინებით, წარმოების მართვაში, მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა გაფართოების მიზნით.

პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი, რომელიც არჩეულია ამა თუ იმ საწარმოს მშრომელთა მიერ, ახორციელებს მათი სახელით წარმომადგენლობას შრომის, ყოფაცხოვრების, კულტურის ყველა საკითხში. მას უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს საწარმოო გეგმებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების პროექტების შემუშავებაში, უფლება ეძლევა მოისმინოს საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელთა მოხსენებები საწარმოო გეგმების და კოლექტიური ხელშეკრულებების ვალდებულებათა შესრულების შესახებ, მოსთხოვოს ადმინისტრაციას აღმოფხვრას გამოვლინებული ნაკლოვანებანი, შეიტანოს ზემდგომ სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში წინადადებანი საწარმოს ან დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

პროფკავშირული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმოების მართვაში მუშათა სულ უფრო ფართოდ ჩაბმა. ეს ამოცანა გამომდინარეობს საბჭოთა პროფკავშირების როლისა და მნიშვნელობის ლენინური განსაზღვრიდან: „ეს არის აღმზრდელობითი ორგანიზაცია, ჩაბმის, სწავლების ორგანიზაცია, ეს არის სკოლა, მართვის სკოლა, მეურნეობის გაძღოლის სკოლა, კომუნიზმის სკოლა“. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება ფართო შესაძლებლობას უქმნის ძირეულ პროფკავშირულ კომიტეტებს ამ ამოცანის განსახორციელებლად. პროფკავშირული კომიტეტი საწარმოში, მშენებლობაზე ხელმძღვანელობს საწარმოო თათბირებს, რომლებიც ამჟამად გახდნენ მუდმივმოქმედი ორგანები, აწყობს მუშათა კრებებსა და საწარმოო-ტექნიკურ კონფერენციებს, სისტემატურ კონტროლს უწევს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და მუშებისა და მოსამსახურეების წინადადებათა შესრულებას. ადმინისტრაციასთან ერთად პროფკავშირული კომიტეტი აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას და აჯამებს მის შედეგებს, არკვევს გამარჯვებულებს შეჯიბრებაში, წყვეტს შეჯიბრების მოწინავეთა წახალისების საკითხს. პროფკავშირულ კომიტეტს ეკისრება კონტროლი მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროზე დანერგვისადმი.

ფართო და ზუსტად განსაზღვრული უფლებები ენიჭება პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტს ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონების შესრულებისადმი და უსაფრთხობის ტექნიკის ნორმებისა და წესების და საწარმოო სანიტარიის დაცვისადმი. პროფკავშირული კომიტეტის თანხმობის მიუღებლად ადმინისტრაციას უფლება არა აქვს დაითხოვოს მუშები და მოსამსახურეები, დააწესოს სატარიფო თანრიგები და გამომუშავების ნორმები.

მნიშვნელოვნად იზრდება პროფკავშირული კომიტეტების როლი და უფლებები სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხთა გადაჭრაში. მათ ეკისრებათ კონტროლი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი, საცხოვრებელი ფონდის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მდგომარეობისა და ექსპლოატაციისადმი, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი. საცხოვრებელი ფართობის განაწილება უნდა ხდებოდეს ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს უფლება ეძლევა საჭიროების შემთხვევაში დააყენოს ხელმძღვანელ მუშაკთა მოხსნისა თუ დასჯის საკითხი, რომლებიც არ ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულების ვალდებულებებს, იჩენენ ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, არღვევენ შრომის კანონმდებლობას. ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნის დროს საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს პროფკავშირული კომიტეტის აზრი.

პროფკავშირული კომიტეტების უფლებათა ახალი დებულების მნიშვნელობა ის არის, რომ იგი დიდად აფართოებს წარმოების მართვაში მუშათა და მოსამსახურეთა ჩაბმის შესაძლებლობას, აწესებს ქმედითს ნამდვილად მასობრივ საზოგადოებრივ კონტროლს მუშათა და მოსამსახურეთა შრომის, ხელფასისა და ყოფაცხოვრების უმნიშვნელოვანეს, ძირეულ საკითხებში.

შემოქმედებითად ავითარებენ რა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი კომუნიზმში სოციალისტური საზოგადოების თანდათანობით გადასვლის ისტორიულ პროცესს წარმართავენ კონკრეტული გზით. უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს დებულებას, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა სიტყვაში კომკავშირის XIII ყრილობაზე:

„ჩვენ ვამბობთ, რომ კომუნიზმის დროს სახელმწიფო მოკვდება. მაშ რა ორგანოები დარჩება? საზოგადოებრივი ორგანოებ ი! კომკავშირი ერქმევა მას, პროფკავშირები თუ რაიმე სხვა, ეს იქნება საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით საზოგადოება მოაწესრიგებს თავის ურთიერთობას. ახლავე უნდა გავუკაფოთ გზა ამას, მივაჩვიოთ ადამიანები, რომ მათ გამოუმუშავდეთ ასეთი მოქმედების ჩვევები“.

ეს ნიშნავს, რომ პროფკავშირების, როგორც სკოლის, სადაც მილიონობით მუშა და მოსამსახურე სწავლობს პრაქტიკულ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, სოციალისტური წარმოების მართვაში, როგორც კომუნისტური მშენებლობის სკოლის როლი იზრდება კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის კვალობაზე.

საჭიროა, რომ საკავშირო პროფსაბჭო, პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები და საბჭოები ეხმარებოდნენ საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს სწრაფად და სრულად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული ფართო და პასუხსაგები უფლებები, აიმაღლონ ბრძოლისუნარიანობა და ინიციატივა. პროფკავშირებს ამაში აქტიურად უნდა დაეხმარონ პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც უნდა ახსოვდეთ, რომ პარტიული ხელმძღვანელობა ჩვენი პროფკავშირების ძალაა. აიმაღლებენ რა თავის როლს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა პროფკავშირები — სსრ კავშირის მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია — კიდევ უფრო აქტიურად დაეხმარებიან პარტიას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, მათი შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის მობილიზაციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით

15 ივლისს მთელმა მსოფლიომ აღშფოთებით შეიტყო ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია. ამერიკის მე-6 სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები შევიდნენ ბეირუთის ნავსადგურში და ლიბანის ტერიტორიაზე გადასხეს საზღვაო ქვეითი ჯარი.

იმავე დღეს თეთრმა სახლმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სახელით გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომლითაც მიმართავენ ცდებს ორ-ხე-ერ-ა გაამართლონ ლიბანის სამინაო საქმეებში ეს უაღრესად უხეში სამხედრო ჩარევა. ამ განცხადებაში ამტკიცებენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი ჯარები გაგზავნეს ლიბანში თითქოს იმისათვის, რომ „ცხადყონ ამერიკის შეერთებული შტატების ზრუნვა ლიბანის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის“, რომლებსაც თითქოს გარედან ემუქრებიან, აგრეთვე ამერიკელი მოქალაქეების დასაცავად, რომლებიც ამ ქვეყანაში იმყოფებიან.

ასეთი მტკიცების სრული უსაფუძვლობა სავსებით ცხადია, რადგანაც ლიბანის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას არავინ არ ემუქრება. ამას ზღვრული სიცხადით ადასტურებს თუნდაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის განცხადება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავალუურეთა მოხსენება ლიბანში არსებული მდგომარეობის შესახებ. რაც შეეხება ამერიკელი მოქალაქეების დაცვისათვის „ზრუნვას“, ნება გვიბოძეთ ვიკითხოთ, საერთაშორისო სამართლის რა ნორმები აძლევენ ნებას უცხო სახელმწიფოებს თავისი შეიარაღებული ძალები გაგზავნონ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ასეთი მიზნებისათვის. ასეთი ნორმები საერთაშორისო სამართალში არ არის. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ თავის მოქალაქეთა დაცვის დამოწმება ოდითვე ყველა კოლონიზატორის საყვარელი ხერხია პატარა ქვეყნებზე ავაზაკური თავდასხმის გასამართლებლად.

ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის ნამდვილი მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა ნავთობის მონოპოლიების მისწრაფება შეინარჩუნონ თავისი კოლონიური ბატონობა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე არაბთა აღმოსავლეთში მათი პოლიტიკის აშკარა გაკოტრება, ბაღდადის პაქტისა და დალეს-ეიზენჰაუერის უბადაღებული დოქტრინის კრახი.

ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ ერაყის უკანასკნელი ამბები, რომლებსაც თეთრი სახლის განცხადებაში განიხილავენ როგორც მიზეზს, რომელმაც დააჩქარა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია. მაგრამ ერაყის ამბები წარმოადგენენ არაბი ხალხების გაბუხრელი მისწრაფების ახალ დადასტურებას განთავისუფლდნენ კოლონიური დამოკიდებულებისაგან და თავისი ბედი საკუთარ ხელში აიღონ.

როგორც ცნობილია, 13 ივლისს ღამით ერაყში არმიის გამოსვლის შედეგად, რომელსაც მხარი დაუჭირა ხალხმა, დამხობილ იქნა მონარქისტული რეჟიმი, გამოცხადდა რესპუბლიკა და შეიქმნა ერაყის რესპუბლიკის მთავრობა.

პირველი საგარეოპოლიტიკური აქტები ამ მთავრობისა, რომელსაც მეთაურობს გენერალი აბდელ ქერიმ კასემი, იყო განცხადება ბანდუნგის კონფერენციის პრინციპებისათვის სრული მხარდაჭერის შესახებ, აგრესიული სამხედრო ბაღდადის პაქტიდან ერაყის გამოსვლის შესახებ, აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცნობა.

ერაყის რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ „იმოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად“, „განახორციელებს არაბულ პოლიტიკას და ზუსტად დაიცავს ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებს“ და მზად არის „დაიცვას ვალდებულებანი და ხელშეკრულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ სამშობლოს ინტერესებიდან“. მან აგრეთვე განაცხადა, რომ უზრუნველყოფს უცხოელი ქვეშევრდომების უშიშროებას და მათი ქონების ხელშეუხებლობას.

აღნიშნული აქტები მოწმობენ მთავრობის განზრახვას დაიცვას ერაყის ეროვნული დამოუკიდებლობა და სხვა თავისუფლებისმოყვარე არაბ ხალხებთან ერთად აწარმოოს ბრძოლა კოლონიალიზმის მძიმე შედეგების დაძლევისათვის, განავითაროს ეროვნული ეკონომიკა და აამაღლოს ხალხის ცხოვრების დონე.

ბუნებრივია, რომ ერაყის რესპუბლიკის მთავრობის საპროგრამო განცხადებებს, რომლებიც შეესაბამებიან ერაყელი და ყველა სხვა არაბი ხალხის მისწრაფებას, ერთსულოვნად უჭერენ მხარს როგორც არაბთა სახელმწიფოებში, ისე ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანაში, რომლებსაც რესპუბლიკის შექმნა მიაჩნიათ ერაყელი ხალხის სავსებით საშინაო საქმედ.

ამბების ასეთი განვითარება ახლო აღმოსავლეთში აშკარად არ არის ხელსაყრელი კოლონიური სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ერაყის რესპუბლიკის შექმნას აშკარა მტრობით შეხვდნენ. იმწამსვე დაიწყო გაცხარებული მოქმედება ვაშინგტონში, ლონდონსა და ანკარაში. არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში კოლონიურ სახელმწიფოთა ფართო ჩარევის გეგმების არსებობას ადასტურებს, კერძოდ, აგრეთვე ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლოიდის განცხადება, რომ ინგლისის მთავრობა წინასწარ იყო ინფორმირებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განზრახვის შესახებ ლიბანში თავისი ჯარების გადასხმის მიმართ, რომ ინგლისის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატების ამ აქციას და რომ „ინგლისის შეიარაღებული ძალები ამ რაიონში მზად არიან“.

არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევისათვის საბაბის შექმნის მიზნით ინსპირირებული იყო ლიბანის პრეზიდენტის შამუნის განცხადება, რომელმაც მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს თხოვნით შეეყვანათ ჯარები ლიბანში. მაგრამ კარგად ცნობილია, რომ ლიბანში ხდება ამბები, რომლებიც გამოწვეულია წმინდა საშინაო მიზეზებით და მხოლოდ ბაღდადის პაქტის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევამ, რომლებიც ისწრაფვიან რადაც უნდა დაჯდეს შეინარჩუნონ ანტიხალხური რეჟიმი, გამოიწვია სამოქალაქო ომი და მთელი ვითარების გამწვავება ამ რაიონში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ჯარების გადასხმა ბეირუთში წარმოადგენს შეიარაღებული ინტერვენციის აქტს არა მარტო ლიბანის მიმართ, არამედ აგრეთვე ყველა თავისუფლებისმოყვარე არაბი ქვეყნის მიმართ. ამაზე, კერძოდ, არაორჭოფულად არის ლაპარაკი თეთრი სახლის აღნიშნულ განცხადებაში, რომელშიც ლიბანში ჯარების გაგზავნა შემოხვევით როდია უშუალოდ დაკავშირებული ერაყის ამბებთან. ამას აგრეთვე მოწმობს ის ფაქტი, რომ იორდანიის მეფემ ჰუსეინმა აშკარად თავის მფარველთა რჩევით თავისი თავი გამოაცხადა უკვე არარსებული ერაყ - იორდანიის ფედერაციის მეთაურად ნაცვლად ერაყელი ხალხის მიერ ჩამოგდებული მეფე ფეისალისა, თუმცა ამისათვის მას არავითარი საფუძველი არ ჰქონია არც ფორმით და არც არსებითად. ამ ნაბიჯის პროვოკაციული აზრი სრულიად ცხადია. ამასთან არ სურთ ანგარიში გაუწიონ იმ ფაქტს, რომ ერაყის რესპუბლიკის მთავრობამ, რომელსაც მხარს უჭერს მთელი ხალხი, ოფიციალურად განაცხადა, რომ ერაყი გამოვიდა ერაყ-იორდანიის ფედერაციიდან.

ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია სავსებით ცხადყოფს, რომ იმპერიალისტებმა ჩამოიხადეს ნიღაბი და მიმართეს აშკარა აგრესიას მშვიდობისმოყვარე არაბი ხალხების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ცხადი ხდება, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ რატომ არ მიიღო საბჭოთა მთავრობის 1957 წლის 11 თებერვლის წინადადება ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში დიდ სახელმწიფოთა ჩაურევლობის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვა ეკისრა ვალდებულებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა მშვიდობის დაცვასა და დაძაბულობის შენელებას დედამიწის ამ რაიონში. მას სურდა ხელგახსნილი ყოფილიყო ამ რაიონში თავისი აგრესიული მოქმედებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია ლიბანში სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას და შეიცავს მეტად დიდ შედეგებს. ხალხები გულგრილი ვერ დარჩებიან ამ უტიფარი იმპერიალისტური აგრესიისა და არაბი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უაღრესად უხეში გათელვისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების მოურიდებელი დარღვევის წინაშე.

ამ პრინციპების პირდაპირ აბუჩად აგდებას წარმოადგენს თეთრი სახლის მიერ იმის დამოწმება, რომ ამერიკის ჯარები ლიბანის ტერიტორიაზე შეჰყავთ თითქოს თავდაცვის მიზნით და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებისათვის. ვინ არ იცის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მრავალ ათას კილომეტრზე მდებარეობენ ლიბანიდან და რომ ლიბანელი და სხვა არაბი ქვეყნების ხალხები ვერასგზით ვერ დაემუქრებიან ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებსა და უშიშროებას. რაც შეეხება თვით ლიბანს სწორედ ამერიკის შეიარაღებული ინტერვენცია წარმოადგენს მთავარ საფრთხეს ამ პატარა არაბული ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

დაადგა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევის გზას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახლა ცდილობს უშიშროების საბჭო და გაერთიანებული ერების მთელი ორგანიზაცია დააყენოს მომხდარი ფაქტების წინაშე და ზეგავლენის გზით ისწრაფვის მიაღწიოს თავისი ცალმხრივი აგრესიული მოქმედების მოწონებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ მდგომარეობამ ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა აგრესიის შედეგად, რასაც მხარს უჭერენ სხვა კოლონიური სახელმწიფოები, შექმნა მეტად შემაშფოთებელი და საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის საშიში ვითარება. ასეთ პირობებში უშიშროების საბჭომ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უნდა მიიღონ დაუყოვნებლივი და გადამწყვეტი ღონისძიებანი აგრესიის აღსაკვეთად და არაბთა სახელმწიფოების ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად, რომლებმაც არაპროვოცირებული თავდასხმა განიცადეს.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს შეიარაღებული ჩარევა არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში და დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანიდან.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება ამბებისადმი, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს ქმნიან რაიონში, რომელიც მდებარეობს მის საზღვრებთან, და უფლებას იტოვებს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესები უკარნახებენ.

1958 წლის 16 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა 1958 წლის 15 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დასკვნა ამ საკითხზე, რატიფიკაცია უყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია პეკინში 1958 წლის 23 აპრილს.

ამხანაგები ა. იუგოვი და რ. დამიანოვი სოხუმში

სოხუმი, 16 ივლისი. (საქდესი). თბილისიდან სოხუმში ჩამოვიდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი ანტონ იუგოვი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი რაიკო დამიანოვი, რომელნიც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან დასასვენებლად.

სოხუმის ვაგზალში საპატიო სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ბღაჟბა, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ჩიქოვანი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დ. გოგოხია, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. შარტავა და სხვები.

ამხანაგებმა ა. იუგოვმა და რ. დამიანოვმა მათ შემხვედრ პირებთან ერთად ავტომანქანებით გაისეირნეს ქალაქში, იყვნენ სოხუმის მთაზე. ისინი გაემგზავრნენ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, სადაც გაიცნეს XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობა.

მის აღმაჯვებულებას ბაჯონ აბდელ ქერიმ კასემს

ერაყის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, უცვლელად ხელმძღვანელობს რა ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპით და დიდ პატივს სცემს რა ერაყელი ხალხის სამართლიან ეროვნულ მისწრაფებას, ამით აცხადებს, რომ ოფიციალურად ცნობს ერაყის რესპუბლიკის მთავრობას.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ერაყის რესპუბლიკის შექმნა ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის შემდგომ განმტკიცებასა და სსრ კავშირისა და ერაყის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირის ხალხები ერაყელ ხალხს უსურვებენ თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებას და ყოველგვარი წარმატების მიღწევას თავისი სამშობლოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

ნ. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი, 1958 წლის 16 ივლისი.

მოკლედ

თბილისის 1500 წლისთავისათვის ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში აღდგენილი იქნება ძველი „თბილისური“ საცხოვრებელი სახლის ტიპები. ასეთ სახლებად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველომ აირჩია ალავერდოვის ქ. № 2 და აზიზბეკოვის ქ. № 3 სახლები. ამ სახლებში უკვე დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები.

მეტალურგის დღის შესახვედრად

მეჯი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი სამშობლოს

ახლოვდება მეტალურგის საკავშირო დღე. ამ თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის მრავალი მეტალურგი დგას შრომითს ვახტზე და დაუღალავი მუშაობის მაგალითს იძლევა. შეჯამებულია ივნისის მაჩვენებლები. ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულმა ქარხანამ 104,5 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა და ათასობით ტონა ზეგეგმითი თუჯი, ნაგლინი და სხვა მეტალურგიული პროდუქცია მისცა სამშობლოს.

შემოქმედებითი შრომის კარგ მაგალითს იძლევა მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე-საგლომერაციო საამქროს კოლექტივი. მიმდინარე წელს აქ გეგმის გადაჭარბებით 1.500 ტონაზე მეტი თუჯი გამოადნეს, დიდად გაზარდეს თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება. ეს წარმატება ძირითადად მიღწეულია წარმოებაში სიახლის დანერგვის შედეგად. ამას წინათ აქ კაპიტალური რემონტი გაუკეთეს პირველ ბრძმედსა და აგლომფაბრიკას, რამაც 65 პროცენტამდე გაზარდა აგლომერატის შემცველობა საბრძმედე კაზმში. კოქსის მუდმივობის დადგენის შედეგად მებრძმედეებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი. მთელი რიგი ღონისძიებები იქნა გატარებული წარმოების ნარჩენების გამოსაყენებლად.

მექანიკოს პ. მაჭარაშვილის და ინჟინრების ი. გრინბერგისა და შ. ჯალაღონიძის წინადადებით წარმოებაში დაინერგა სკიპების ორმოების გასაწმენდი ამწე მექანიზმი. ამის შედეგად საამქრომ დაზოგა 390 ათასი მანეთი.

შრომითი აღმავლობაა მილსაგლინავ საამქროში, ნახევარი წლის მანძილზე დაამზადეს და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საწარმოებში გაგზავნეს ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მილები. საამქროში ყველაზე კარგ მაჩვენებლებს აღწევს გ. სიდოროვის ბრიგადა. ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს მეტალურგის დღისათვის გეგმის ზევით გამოუშვან 300 ტონა სხვადასხვა სახის მილი. აღებული ვალდებულება ვადაზე 12 დღით ადრე იქნა განაღდებული. მეტალურგის დღემდე აქ კიდევ 100 ტონა მილის გამოშვება აქვთ გათვალისწინებული. მთავარი, რითაც მილსაგლინავ საამქროში წარმატებას აღწევენ, ის არის, რომ მაღალ დონეზე დგას შრომის ორგანიზაცია. ცვლის მიღებისთანავე მვალცავები ყურადღებით სინჯავენ ყველა დეტალს და, ტექნოლოგიური პროცესი რომ არ დაირღვეს, საჭიროების მიხედვით ცვლიან ზოგიერთ მათგანს.

მეტალურგის დღისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ წვრილსორტული, საგლინავი და ფურცელსაგლინავი საამქროს კოლექტივები.

გასულ თვეში შედარებით უკეთ იმუშავა მარტენის საამქრომ. ცნობილია, რომ მარტენის საამქროს მუშაობაზეა დამოკიდებული მთელი ქარხნის საერთო წარმატებები, ნორმალური, შეუფერხებელი მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ მემარტენეებმა ივნისის საწარმოო გეგმა შეასრულეს, მათ მუშაობაში ჯერ კიდევ დიდი ხარვეზები აქვთ. ივლისში აქ კვლავ ჩამორჩებიან, რაც იმით არის გამოწვეული, რომ საამქროს კოლექტივში მოისუსტებს შრომის დისციპლინა, დაბალია შრომის ორგანიზაცია, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავე მეთოდების დანერგვას, სოციალისტურ შეჯიბრებას. საამქროში წარმოების ნოვატორების, ჩქაროსნული ჩამოსხმის ოსტატების ტ. იოსავას, ნ. გულიაშვილის და სხვების გვერდით, რომლებიც 6-7 საათში ასწრებენ ფოლადის გამოდნობას, არიან მეფოლადეები, რომლებიც უხეშად არღვევენ გრაფიკს. ამას წინათ მეფოლადეებმა ს. საყვარელიძემ და გ. ნარსიძემ 2-3 საათით დაგვიანეს ფოლადის გამოდნობის გრაფიკი.

არაკეთილსინდისიერად ხდება ცვლების მიღება-გადაბარება. ცვლის უფროსები ერთმანეთისაგან არ მოითხოვენ გაწეული მუშაობის ანგარიშებს. ამ მდგომარეობას რატომღაც შეეგუენ საამქროს ხელმძღვანელები. ხშირია წუნის გამოშვების შემთხვევებიც. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები, ყურადღება არ ექცევა წარმოების კულტურას.

საყვედურის ღირსია ქარხნის კოქსქიმიური საამქროს კოლექტივი. ივნისში მხოლოდ ამ საამქრომ ვერ შეასრულა საწარმოო დავალება. კოქსქიმიური საამქრო ვალდებულია მთლიანად და დროულად მოამარაგოს საბრძმედე საამქრო კოქსით. მაგრამ კოქსქიმიური საამქროს კოლექტივი ამ პასუხისმგებლობას ნაკლებად გრძნობს.

საამქროში ხშირად ვერ იცავენ კოქსის ამოწვის რეჟიმს, რის გამო ადგილი აქვს კოქსის ხარისხის დაცემას. ეს კი საბოლოო ანგარიშში გავლენას ახდენს აგლომ-საბრძმედე, ფოლადსამსხმელო და საგლინავი საამქროების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი უნდა აღმოიფხვრას. ქართველი მეტალურგები სახელოვნად უნდა შეხვდნენ თავიანთ დღესასწაულს — მეტალურგის დღეს, აგრეთვე შავი მეტალურგიის მუშაკთა საკავშირო თათბირს, რომელიც დანიშნულია მიმდინარე წლის ნოემბერში.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ბევრი რაციონალიზატორია ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. კოლექტივში სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ახალგაზრდა რაციონალიზატორი ი. ხაზარაძე. იგი რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. ახლახან წარმოებაში დაინერგა ი. ხაზარაძის რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგადაც მკვეთრად დაჩქარდა და გაუმჯობესდა სიჩქარეთა კოლოფის ლილვის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი.

სურათზე: მარცხნიდან — უბნის ოსტატი დ. კინწურაშვილი, ი. ხაზარაძე და ამწყობი ა. გოდერიძე ამოწმებენ გაუმჯობესებული ტექნოლოგიით დამზადებული ლილვის ხარისხს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ქუთაისის რაიონში

ეკლარის ქვის მოსაპირკეთებელი ფილები

ეკლარის ქვა სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს მშენებლობაში. ამ ქვით მოპირკეთებულია ბევრი საუცხოო მონუმენტური შენობა და ნაგებობა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ დღეებში ეკლარის ქვის საწარმოში დამონტაჟდა უწყვეტი ნაკადური ხაზი — დაიდგა სტოლიაროვის ტიპის ქვის სახერხი ოთხი დაზგა. ამიერიდან მთლიანად მექანიზებულია ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვის ფილების წარმოება.

მაღალმთიანი სოფლების ელექტროფიკაცია

მაღალმთიან სოფელ მექვენაში შენდება ელექტროქვესადგური. სოფლებში მექვენასა და დერჩში უკვე გაყვანილია ელექტროხაზები. დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავისათვის ილიჩის ნათურებით იქნება გაჩირაღდნებული როგორც ამ სოფლების, ისე დღნორისისა და საჩხეურის კოლმეურნეობები.

დაიწყო სილოსის ჩადება

თუმცა სილოსად ჩასადები სიმინდის მწვანე მასა ჯერ შემოსული არ არის, რაიონის კოლმეურნეები ამთავითვე ყველა რეზერვს იყენებენ იმისათვის, რომ გადამეტებით შეასრულონ სილოსის დამზადების დავალება. მოწინავე კოლმეურნეობებმა უკვე დაიწყეს გარეული ბალახების, აკაციისა და სხვა მცენარეთა ფოთლების დასილოსება. ჩადებულია პირველი ტონები. სილოსის ჩადება დაიწყეს ხორმონის, გოდოგნის, ზედა მესხეთისა და ნაგარევის კოლმეურნეობებში. წელს კოლმეურნეობები ოთხი ათასი ტონის ტევადობით აფართოებენ არსებულ სასილოსე ნაგებობებს.

პიონერთა ბანაკი კოლმეურნეთა შვილებისათვის

სოფელ ოფურჩხეთში კომკავშირის რაიკომის ინიციატივით იხსნება პიონერთა ბანაკი რაიონის კოლმეურნეთა შვილებისათვის. ასეთი ბანაკი პირველი იქნება რაიონში და იგი ზაფხულში 60 ბავშვს გაატარებს.

ახალი საავტომობილო გზა

იმასთან დაკავშირებით, რომ გუმათეს-პირველის საექსპლატაციოდ გადაცემის შედეგად წყლით დაიფარება ხოფელ რიონში მიმავალი გზის ნაწილი, ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ გუმათის საგზაო სამშენებლო სამმართველომ გაიყვანა გუმათ-რიონის ახალი საავტომობილო გზა. ამ გზის მშენებლობა გაგრძელდება ხოფელ ზარათამდე და იგი ორივე ამ ხოფლს უმოკლესი მანძილით დააკავშირებს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ხოფლებთან, აგრეთვე ქ. ქუთაისთან.

ალექსანდრია-ჯყიბული

ტყიბული. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან უკრაინის სსრ ქალაქ ალექსანდრიისა და ტყიბულის მეშახტეთა კოლექტივები.

ამ დღეებში სერგო ორჯონიკიძის სახელობის შახტში ალექსანდრიიდან მიიღეს ცნობა, რომ „ალექსანდრია-უგოლის“ ტრესტის № 2-3 შახტის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების ნახევარი წლის დავალება.

სერგო ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა უკრაინელ მეგობრებს საპასუხო წერილში უამბო მეშახტის დღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაზე, ნ. მამაისა და ა. კოლჩიკის თაოსნობის პასუხად გაჩაღებულ მეშახტეთა დიდ მოძრაობაზე.

ზესპეციალური მეგბალურგეები კურორტებზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). წელს ათობით ზესტაფონელმა მეტალურგმა დაისვენა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში.

ახლახან სოჭის ერთ-ერთი სანატორიუმიდან დაბრუნდა პირველი საამქროს ოსტატი რ. მამალაძე, ხოლო კისლოვოდსკიდან — ელექტროსაამქროს მოწინავე მუშა დ. ბაქრაძე.

ამჟამად გუდაუთის სანატორიუმში ისვენებს ა. ვლასოვა, სურამში — ვ. ანდროშჩუკი, საარმეში — დ. ბრეგვაძე, ცემში — ა. ლუნგა და ა. შ. წელს სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში 198 მეტალურგი დაისვენებს.

მეტალურგთა ბავშვებისათვის შავი ზღვის წარმტაც სანაპიროზე ეწყობა პიონერთა ბანაკი, სადაც ზაფხულს 240 ბავშვი გაატარებს. ქარხნის საბავშვო ბაღი 100-ზე მეტი ბავშვათ 1 ივლისადან ბაკურიანში მიემგზავრება.

თბილისის 1500 წლისთავისათვის

ერევნული ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაქალაქის ფერწერა გალამაზებისათვის

ლამაზია ჩვენი საყვარელი დედაქალაქი თბილისი, თვალწარმტაცია მისი ფუნიკულორი, მოედნები, პროსპექტები. განზრახულია ბევრი რამის გაკეთება, რომ იგი კიდევ უფრო ლამაზი გახდეს.

დიად თარიღთან — თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით დედაქალაქის განაპირას — საზხედრო გზაზე, კახეთისა და მარნეულის გზატკეცილებზე კეთდება მხატვრულად ლამაზად გაფორმებული შემოსასვლელები.

საქართველოს საზხედრო გზაზე შემოსასვლელი გაკეთდება დიღმის ველზე. აქ მოეწყობა სპეციალური ბაქანი, 16-მეტრიანი სვეტი და მხატვრულად გაფორმებული წყარო. შემოსასვლელი გაფორმდება სათანადო წარწერებით და მოპირკეთდება ბოლნისის მომწვანო ქვით.

კახეთის გზატკეცილზე შემოსასვლელში მოეწყობა თაღი, როზლის კომპოზიციაში გათვალისწინებულია ობელისკიც. მესამე შემოსასვლელი მარნეულის გზატკეცილზე გაკეთდება რკინაბეტონის თაღით.

ქალაქში შემოსასვლელების პროექტები შედგენილია საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტში“. მათი ავტორები არიან არქიტექტორები თ. კანდელაკი, ნ. ჯობაძე და ა. ბაქრაძე. სამუშაოს შეასრულებენ საქართველოს გზატკეცილების სამმართველო, უსინათლოთა საზოგადოება და სხვ.

რაიონულ გიგლიოთეკაში

სილნაღი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები გულმოდგინედ ემზადებიან თბილისის 1500 წლისთავის შესახვედრად. ისინი თბილისის ისტორიული წარსულის ექსპონატებს იცნობიან რაიონულ ბიბლიოთეკაში, სადაც მიმზიდველად, საინტერესო მასალებით და დოკუმენტებით მოწყობილია გამოფენა. „თბილისი 1500 წლისაა“ — ამ წარწერით იხსნება აქ წარმოდგენილი ლიტერატურა, ისტორიული მასალებისა და სურათების სტენდები.

გამოფენილი ლიტერატურა მკითხველებს მოუთხრობს თბილისის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ქალაქის კულტურის, ხელოვნების და ქართული მეცნიერების განვითარებაზე. საგანგებოდ არის წარმოდგენილი თბილისის ისტორიული წარსულის ამსახველი მხატვრული ლიტერატურა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. ცალკე სტენდი აქვს დათმობილი გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ თბილისში.

ბიბლიოთეკაში გამოფენილია აგრეთვე ლიტერატურა, რომელიც თბილისს 1500 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა. ბიბლიოთეკის მუშაკების მიერ შედგენილი ქრონიკა ასახავს თარიღებს 368 წლიდან მომხდარ დიდმნიშვნელოვან ამბებზე. ბიბლიოთეკაში ადგენენ სარეკომენდაციო ლიტერატურის სიას.

რაიონულ ბიბლიოთეკაში მოწყობილი გამოფენა „თბილისი 1500 წლისაა“ დიდ დახმარებას უწევს მკითხველებს იმაში, რომ ფართოდ გაეცნონ თბილისის ისტორიულ წარსულს.

მოწინავე მუშათა კოოპერაციული

ქარელი. (საკ. კორ.). აგარის მუშათა კოოპერატივის გამგეობამ, გაითვალისწინა რა მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილება, სავაჭრო ქსელში შემოზიდა დიდძალი სამრეწველო და სასურსათო საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ვაჭრობის კულტურის ამაღლებასთან ერთად მან 103,1 პროცენტით შეასრულა საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის დავალება, საზოგადოებრივი კვებისა კი — 103,3 პროცენტით.

განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვს სოფელ ქვენატკოცის სასოფლო მაღაზიას, რომელსაც ნახევარი წლის გეგმა 165 პროცენტით აქვს შესრულებული. № 2 სასურსათო მაღაზიამ გეგმა შეასრულა 158,3 პროცენტით, სატრაქტორო სახელოსნოსთან არსებულმა მაღაზიამ — 148 პროცენტით.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა კოოპერატივმა მინდვრად გასულ კომბაინერების მომსახურების საქმეში. მათთვის შემოღებულია დატარებითი ვაჭრობა. გარდა სხვადასხვა პროდუქტებისა, მექანიზატორებს საშუალება აქვთ მიიღონ ცხელი კერძი, უალკოჰოლო სასმელები და სხვ.

რეპორტაჟი

სოფლის მეურნეობის ინსპექცია სამუშაოზე

— წელს წყალტუბოელი მეჩაიეები სასახელოდ შრომობენ, — გვითხრა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. გაგოშიძემ და ნათქვამის დასადასტურებლად სუფთად გადაბეჭდილი ქაღალდის ფურცელი გადმოგვაწოდა. — აი ნახეთ, გაეცანით მაჩვენებლებს რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობაზე.

მართლაც, მაჩვენებლები ცუდი როდია. ეს ციფრები და პროცენტული მონაცემები ნათლად მეტყველებენ მეჩაიეთა თავდადებულ შრომაზე, იმაზე, რომ ბევრმა კოლმეურნეობამ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის დავალება.

— კარგი მაჩვენებლებია!

რაიკომის მდივანმა თავი გაიქნია:

— კარგიც არის და ამასთან არც არის კარგი!

— როგორ?..

— როგორ და უბრალოდ, — ეღიმება მას და დაკვირვებით ჩასცქერის ციფრებს, — შარშანდელთან შედარებით მაჩვენებლები მართლაც კარგია. მაგრამ თუ წლევანდელ პირობებს და ამასთან სხვა რაიონების მუშაობის შედეგებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება მოპოვებული წარმატებები არ გვაკმაყოფილებდეს.

— მაინც რომელი რაიონი გისწრებთ წინ?

— მხოლოდ ერთი — ტყიბულის რაიონი. აი შეხედეთ, — გვეუბნება რაიკომის მდივანი და გაზეთს გვაწოდებს, რომელშიც გამოქვეყნებულია ცნობა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულებაზე, — სულ რაღაც ერთი პროცენტით გაგვისწრეს. მაგრამ წყალტუბოელ მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ არავის არ ჩამორჩნენ და ამას კიდევაც მიაღწევენ.

წელს სოფლად განსაკუთრებით დიდი ცვლილებანი მოხდა. ამ ცვლილებებმა დიდად შეუწყო ხელი არა მარტო მეჩაიეობის, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა დარგების დაწინაურებასაც. როცა რაიკომის მდივანმა ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრო, მან განსაკუთრებით აღნიშნა სოფლის მეურნეობის ინსპექციის ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომელსაც იგი ეწევა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

— ეს სულ ახალგაზრდა სასოფლო-სამეურნეო ორგანოა, — ამბობს იგი, — ამიტომ ჩვენგან მეტ დახმარებასა და ყურადღებას საჭიროებს. — ჩვენი რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის პირველი დახმარება ინსპექციისადმი იყო მისი დაკომპლექტება გამოცდილი, კვალიფიციური კადრებით. ინსპექციას სათავეში ჩავუყენეთ, უნარიანი ორგანიზატორი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკის კარგი მცოდნე მ. იამანიძე. ინსპექციის მთავარი აგრონომია გ. გაბიძაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა ამავე თანამდებობაზე მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. რაიონში იგი საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკის ერთ-ერთ კარგ მცოდნედ ითვლება. სწორედ ამიტომაც არის, რომ გ. გაბიძაშვილს დავალებული აქვს უხელმძღვანელოს რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარს, რომელიც სოფლის მეურნეობის ეკონომიკას სწავლობს. გარკვეული სამუშაო და დავალება მიიღეს ინსპექციაში აგრეთვე სოფლის მეურნეობის მთელმა რიგმა გამოცდილმა და უნარიანმა სპეციალისტებმა, მათ შორის ზოოტექნიკოსმა ვ. იოსელიანმა, ვეტექიმმა ა. თოფურიძემ, აგრონომებმა რ. გორდელაძემ და გ. სვანიძემ, ზოოტექნიკოსმა ა. გუბელაძემ, მიწათმომწყობმა გ. გაჩეჩილაძემ, ბუხჰალტერ-ეკონომისტმა კ. დოღონაძემ და სხვებმა, რომლებიც წინათ კოლმეურნეობაში თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მუშაობდნენ. ყველანი ინიციატივიანი, დიდი ორგანიზატორული უნარის მქონე ადამიანები არიან. მათ თითქმის ყოველთვის კოლმეურნეობებში — ბრიგადებსა და ფერმებში ნახავთ.

— მაგრამ სჯობს ადგილზე, უფრო ახლოს გაეცნოთ საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლის ჩვენს შტაბს, — წინადადებას გვაძლევს რაიკომის მდივანი, და ჩვენც სწრაფად ვეთანხმებით.

...ნახევარი საათიც არ გასულა, და უკვე სოფელ მაღლაკში ვართ. მანქანა ყოფილი მტს-ის შენობის წინ ჩერდება. ამ შენობის მეორე სართულზე რამდენიმე ოთახში მოთავსებულია წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექცია. დერეფანში კარებზე მოჩანს ახლად გაკეთებული წარწერები: „მთავარი აგრონომი“, „მთავარი ზოოტექნიკოსი“, „მთავარი ვეტექიმი“... შევდივართ ოთახში, რომლის კარზეც ასეთი წარწერაა: „ინსპექციის უფროსი“.

— სწორედ დროზე მომისწარით, — ამ სიტყვებით შემოგვეგება ინსპექციის უფროსი მ. იამანიძე, — ეს არის სოფელ ყუმისთავიდან დაგბრუნდი, ცოტა ხანში კი ფარცხანაყანევში ვაპირებდი წასვლას. ახლა რა გაეწყობა, თქვენს ხელთ ვართ... — და იგი დაწვრილებით მოგვითხრობს სოფლის მეურნეობის ინსპექციის მუშაობის პირველ ნაბიჯებზე, ამ რამდენიმე თვის განმავლობაში შეძენილ გამოცდილებაზე.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები ახალი დაწყებული იყო, როცა ინსპექცია შეიქმნა. იგი იძულებული გახდა დაუყოვნებლივ ჩაბმულიყო საგაზაფხულო შეტევაში. ამ გარემოებამ დიდი დადებითი გავლენა იქონია ინსპექციის, როგორც ისეთი ორგანოს საქმიანობაზე, რომელიც არა მარტო კონტროლსა და ინსპექციას ეწევა, არამედ ნაყოფიერ ორგანიზატორულ მუშაობასაც ახორციელებს.

ყოველი ინსპექციის ძირითად ფუნქციას უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდა და საკოლმეურნეო წარმოებაში მათი დანერგვა, მეთესლეობა და ჯიშთა გაუმჯობესება, ვეტერინარული სამსახურის ახალ საწყისზე მოწყობა, მიწათსარგებლობაში წესრიგის დამყარება, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება და კოლმეურნეთა შრომის სწორი ანაზღაურების უზრუნველყოფა.

ახლად შექმნილმა ინსპექციამ სწორედ ამ ფუნქციების შესრულებით დაიწყო მუშაობა და უკვე მნიშვნელოვანი გამოცდილებაც შეიძინა.

დაგვიანებულმა გაზაფხულმა განსაკუთრებით ბევრი სამუშაო დაატეხა თავს მაისს. ახლა საქმის წარმატება დამოკიდებული იყო შრომის სწორ ორგანიზაციაზე, ძალების გონივრულად გამოყენებაზე. ამ მხრივ კი რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე როდი იყო. ინსპექციამ ხელი მოჰკიდა ამ საქმის შესწავლას. შემოწმებაში მონაწილეობა მიიღეს მთავარმა აგრონომმა, ბუხჰალტერ-ეკონომისტმა, უფროსმა აგრონომებმა. გამოირკვა, რომ სოფელ მაღლაკის წულუკიძის სახელობის, ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის და წყალტუბოს კაკიძის სახელობის კოლმეურნეობებში შრომა მოუწესრიგებელი იყო. არ ხდებოდა შრომადღეების ზუსტად აღრიცხვა და შრომის წიგნაკებში დროულად შეტანა. ცალკეულ ბრიგადებში მუშახელის ნახევარზე მეტი არ გამოდიოდა სამუშაოდ. ასეთი მდგომარეობა იყო, მაგალითად, მაღლაკის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადაში. ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 7 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მოსავლელად მომაგრებული არ იყო კოლმეურნეებზე. ინსპექციის წინადადებით საკითხი განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიიღო სათანადო დადგენილება.

— მაგრამ ინსპექცია ამას როდი დასჯერდა, — დასძენს მ. იამანიძე, — ჩვენ კვალდაკვალ მივყვით დადგენილებას და უზრუნველყავით მისი შესრულება. სწორედ გუშინ ვნახე მაღლაკის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები. მართლაც რომ კარგი სანახაობაა: ჩაის ბუჩქები საუკეთესოდ მოვლილია, დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. კარგად მიმდინარეობს კრეფა ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. ინსპექციის მუშაკები დაეხმარნენ არტელის გამგეობას შრომის აღრიცხვის გაუმჯობესებაში. უკანასკნელ ხანებში მეხუთე ბრიგადაში საგრძნობი გაიზარდა კოლმეურნეთა აქტივობა, მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში.

ინსპექცია არა მარტო შესრულებულ სამუშაოს უნდა ამოწმებდეს, არამედ მოვალეა წინაც იყურებოდეს, დროზე ეხმარებოდეს კოლმეურნეებს სათანადო რჩევა-ინსტრუქციებით და მითითებებით. წყალტუბოელმა კოლმეურნეებმა წელს გადაჭარბებით შეასრულეს ბოსტნეული კულტურების თესვის გეგმა. მაგრამ ინსპექცია მაინც არ ისვენებდა. მართალია, თესვის გეგმა შესრულდა, მაგრამ როგორია აღმოცენება? გამოირკვა, რომ ძალიან ცუდი.

სოფელი ფარცხანაყანევი მებოსტნე კოლმეურნეობათა ცენტრია. და აი სწორედ ამ სოფელში ინსპექციამ დაუყოვნებლივ მოიწვია სპეციალისტთა და მოწინავე კოლმეურნე მებოსტნეთა თათბირი. თათბირის მონაწილეებს გააცნეს სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეთა გამოცდილება. ბოსტნეული კულტურების აღრეული თესვის განხორციელებით მეუზრუნველყვეს ამ კულტურებს საუკეთესოდ აღმოცენება. თათბირის მეორე დღესვე მებოსტნეობის კოლმეურნეობებში მოეწყო ხელმეორედ თესვა გაცდენილ

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. სურათზე: კოლმეურნეები რწყავენ პლანტაციას. უკანა პლანზე (მარცხნიდან მარჯვნივ): კოლმეურნეების მეექვსე ბრიგადის ბრიგადირი ა. კოსტავა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ჯავახაძე, სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი მ. იამანიძე და ინსპექციის მთავარი აგრონომი გ. გაბიძაშვილი ამოწმებენ მორწყვის მიმდინარეობას.

ფოტო ლ. ხერხეულიძისა.

ერთი სოფლის ადამიანები

ღილით ადრე, ღამე დღის რომ ეყრება, სწორედ მაშინ იწყება სოფელ ოქტომბერში გამრჯე კოლმეურნეთა სამუშაო დღე. ამ დროს ვრცლად გადაშლილ „მწვანე ოქროს“ პლანტაციებში უკვე ჩამწკრივებულან ჩაის მკრეფავები. თვითეული მათგანი დაინტერესებულია არა მარტო გეგმა შეასრულოს, არამედ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებასაც გადაეჭარბოს.

ასეთი სასახელო შრომა ტრადიციად იქცა ოქტომბერში. ამიტომ ზუგდიდის რაიონში ეს კოლმეურნეობა მუდამ მოწინავეთა შორის იხსენიება. აქ პირობის დადებაც იციან და მისი შესრულებაც. ამ საქმეს 1952 წლიდან ხელმძღვანელობს კარგი ორგანიზატორი მიხეილ უბილავა. იგი საქმის ცოდნით უძღვება მრავალდარგოვან მეურნეობას.

— რაკი წარმატებებზე ვლაპარაკობთ, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. უბილავა, — პირველად უნდა გავეცნოთ ჩვენს მეჩაიეებს. ჩაი კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა ეკონომიური ძლიერების წყაროა. 450 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული! ეს იმას ნიშნავს, რომ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივცეთ 50 ტონა. ამისათვის იბრძვიან ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები.

ამის დასადასტურებლად თავმჯდომარემ მოიშველია უბის წიგნაკი და საბუხალტრო ჩანაწერები:

მაის-ივნისში კოლმეურნეობამ 189 ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფა. გეგმა კი 184 ტონას ითვალისწინებდა. წლიური დავალება შესრულებულია 49 პროცენტით. ამ საქმეში მრავალმა მეჩაიემ ისახელა თავი. მერვე ბრიგადაში ბეჯითი შრომით გამოირჩევიან კ. ხარგელია და მისი მეუღლე ბედიშა. მათი დღიური ნაკრეფი ჩაი 140-170 კილოგრამს აღწევს.

ეთერ ჯგერენაია, მერი ძაძამია, მარგო ქარჩავა ყოველდღიურად ამრავლებენ წარმატებებს. წელს თვითეული მათგანი 4,5 ტონა ჩაისათვის იბრძვის. სიმწიფის ატესტატი მოვიდა წელს კოლმეურნეობაში ზოია გარდავა, რომელიც დღეში 40-60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. მარჯვენას უქმენენ და-ძმა ეთერ და ვაჟა ფაცაციებს, თვითეულ მათგანს უკვე მოკრეფილი აქვს 1.800 კილოგრამამდე ფოთოლი.

— ამ ცხარე დღეებში, — ამბობს ღრმად მოხუცი გ. ნარიოშვილი, — შინ ვერ ვძღები, ვხედავ ყველა მინდვრად არის გასული. მიც ხომ შემიძლია წვლილი შევიტანო წარმატების მოპოვებაში. სიმინდსაც ვამუშავებ და ჩაის კრეფაც კარგად ვიცი, დღეში ვკრეფ 20-25 კილოგრამს. მინდვრად შეჯიბრებაა გაჩაღებული. მე ჩემს ტოლს — მინათ ციკუტანიას ვეჯიბრები. ხან მე ვჯობნი, ხან ის. საბოლოო შედეგიც ვნახოთ, — დასძენს მოხუცი.

— ჩაიც გვიყვარს და პურიც, — ჩაერია საუბარში ფერმის გამგე, სოციალისტური შრომის გმირი ივანე შამუგია, — მაგრამ ჩვენს მეცხოველეებსაც არანაკლები შრომა აქვთ გაწეული. თუ ოთხიოდე წლის წინათ ადგილობრივი ჯიშის თვითეულ საფურაყე ძროხაზე 300 ლიტრ რძეს ვიღებდით, ახლა ათას ლიტრსაც გადავაჭარბებთ. ექვს თვეში უკვე მიღებული გვაქვს ექვსას ლიტრ რძეზე მეტი. თუ ასე სწრაფად გავზრდით წველადობას, შეიქმნით მტკიცე საკვებ ბაზას, შეგიძლია მომავალი წლისათვის 1.500 ლიტრი რძეც მიგიღოთ. მოკლე ხანში ჩვენი ქვეყანა არა მარტო დაეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცს, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, არამედ კიდეც გაუსწრებს.

აბა ვინ არ იცნობს სახელოვან მწველავს მუკუტია ქირიას, რომელიც 12 ძროხას უვლის. მან წელს უნდა მიიღოს 13.000 ლიტრი რძე. უკვე მიიღო 7.000 ლიტრამდე და პირობას იძლევა გეგმის გადამეტებით მოწველოს 2.000 ლიტრი რძე. ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის ენერგიულად იბრძვიან მწველავები ვ. პერტახია, გ. შამუგია, დ. სეგოვა და სხვები.

სხვა კულტურებთან ერთად კოლმეურნეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ სიმინდის კულტურას. აქ სამარცვლედ და სასილოსედ სიმინდი დათესილი აქვთ 300 ჰექტარამდე. კოლმეურნე მესიმინდეები სანიმუშოდ უელიან სიმინდს და უკვე ტანყრილი ყანები აქვთ. საშუალოდ ჰექტარზე სულ მცირე 22 ცენტნერი მარცვლის და 400 ცენტნერი მწვანე მასის მიღებისათვის იბრძვიან. ცალკეული მესიმინდეები უფრო უხვ მოსავალს გვპირდებიან. მ. თორდია, კ. შამუგია, კ. ჯობავა, ე. ხარგელია, ი. ქირია, ი. უბილავა, ა. კვარაცხელია ბეჯითად შრომობენ ჰექტარზე 70-80 ცენტნერი სიმინდის მოყვანისაშვის.

ასევე თანშეწყობილად ვითარდება სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობა „ოქტომბერში“ სხვა დარგებიც. ამის შედეგად წინ მიდის სოფლის მშრომელთა კულტურული, შეძლებული ცხოვრება. ოქტომბრელებს აქვთ ორსართულიანი კულტურის სახლი, შენდება საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა, სოფლის მაღაზია, უკვე მუშაობს სახერხი ქარხანა. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია, არის ელექტროწისქვილი და მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობა.

ასე ამკობს, ამდიდრებს საკოლმეურნეო შრომა ამ სოფლის ცხოვრებას.

ნ. ჯანჯღავა,
გ. ნოდია.

საქართველო უცხოელი მეგობრის თვალით



გასული წლის ზაფხულში უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება მოწვევით ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად იყო ცნობილი რუმინელი პოეტი ვიქტორ კერნბახი, რომელმაც დიდი შრომა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულ ენაზე პოეტური თარგმნის შესრულებისათვის.

საქართველოში ყოფნის დროს ვიქტორ კერნბახი დაუახლოვდა ქართველ პოეტებს, მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეს, უფრო ღრმად შეისწავლა საქართველოს ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა, ეთნოგრაფია.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ვ. კერნბახმა რუმინეთის სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში მრავალი სტატია და ნარკვევი მოათავსა, რომლებშიც ქართული თქმულებების, ზღაპრების, ანდაზებისა და სიმღერების ფონზე საინტერესოდ და წარმტაცად მოუთხრო რუმინელ მკითხველს საქართველოს წარსული და თანამედროვე ცხოვრების შესახებ.

ვიქტორ კერნბახის წიგნი „თოვლსა და ფორთოხლებს შორის მდებარე ქვეყანა“ (კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი), რომელიც ახლახანს გამოსცა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გამომცემლობა „კარტეა რუსამ“, ავტორის საქართველოში მოგზაურობის დღიურს წარმოადგენს, ავტორს მასალა განლაგებული აქვს ძირითადი თემების მიხედვით: ოქროს საწმისის ძებნაში; ბუნების ანთოლოგია; ამირანი თუ პრომეთე? ციხე-სიმაგრენი, მონასტრები, ციხე-კოშკები; თეთრი სინათლე თბილისიდან; ქალაქები მთებში და მთებს შორის; ზღვის სასწაულები და მისი მეზობლები; ასაკი ითვლება ათასწლობით; ცისარტყელები, გედები, ბულბულები; ყოველი ქართველი პოეტია, ხოლო ყოველი ქართველი პოეტი ორჯერ პოეტია; თამადა; ქართველი კაცის ბალადა; ჩემი საყვარელი საქართველო. უკანასკნელი თავი დასათაურებულია ქართულად და სათაური დაბეჭდილია ქართული ასოებით. მარტო სათაურების ეს უბრალო ჩამოთვლაც კი მოწმობს, თუ ავტორი რაოდენ ბევრ საინტერესო ამბავს მოუთხრობს მკითხველს საქართველოსა და ქართველების შესახებ.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ ამ დღეებში მიიღო ვიქტორ კერნბახის წიგნის პირველი ეგზემპლარები. ავტორმა თავისი წიგნი საჩუქრად გაუგზავნა ჩვენი კულტურის მოღვაწეებს, რომლებსაც იგი საქართველოში ყოფნის დროს დაუახლოვდა.



ვიზრუნოთ ბახმაროს კეთილმოწყობისათვის

ბახმარო ერთ-ერთი ულამაზესი კურორტია. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან ორი ათას მეტრს აღემატება. კურორტი შემოფარგლულია ასწლოვანი წიწვიანი ცენტრეებით განთქმული ბუმბერაზი მთებით. ანკარა მდინარე ბახვისწყალი, რომელიც კურორტს შუაზე ჩამოუდის, კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ისედაც დიდებულ ბახმაროს მიდამოებს.

ზღვისა და მთის შეზავებული ჰაერი ასევე ცნობილი ეს კურორტი. ბახმარო შესანიშნავად კურნავს ისეთ დაავადებებს, როგორიც არის მალარია, სისხლნაკლებობა, ტუბერკულოზი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს კურორტი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო კერას წარმოადგენს. ყოველ საკურორტო სეზონზე აქ 20-25 ათასამდე დამსვენებელია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან, არამედ ლენინგრადიდან, ოდესიდან, ჩვენი ქვეყნის სხვა შორეული მხარეებიდანაც კი.

ამ უკანასკნელ წლებში კურორტის კეთილმოწყობისათვის ბევრი რამ გაკეთდა. ბუმბერაზსდა დამსვენებელთა მომსახურება. მიუხედავად ამისა, კურორტის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველო არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ კურორტს. მისი მუშაკები ეშვიათად მოდიან ბახმაროზე, ტოვებენ დაპირებებს და შემდეგ ივიწყებენ მათ. აბა რით უნდა აიხსნას ის თვალი, რომ სადაც არის საკურორტო სეზონი გაიხსნება, ხოლო საკურორტო სამმართველოს დღემდე არავითარი თანხა არ ჩაურიცხავს ბახმაროს კეთილმოწყობისათვის?

საყურადღებოა ერთი ფაქტი. აქ ჯერ კიდევ 1949 წელს დაიწყო ელექტროსადგურის მშენებლობა. პირველ წელს 300 ათას მანეთამდე დახარჯეს სამშენებლო სამუშაოებზე, შემდეგ მშენებლობა რატომღაც შეაჩერეს. რაც მაშინ გაკეთდა, ახლა სანახევროდაც აღარ გამოდგება, ისეა დანგრეული. სახელმწიფო თანხების ასეთი უყაირათო ხარჯვისათვის დამნაშავეებს პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ ასეთ შესანიშნავ კურორტს არა აქვს აბანო. ზოგიერთ დასახლებულ უბანში განიცდიან სასმელი წყლის ნაკლებობას, მაშინ როდესაც აქ ჩინებული წყაროს წყლების დიდი მარაგია. კურორტს აქვს 75-საწოლიანი სანატორიუმი, რომელიც ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

გასული წლის სეზონში კურორტგაჭრობის ქსელში დიდი დარღვევები, დამსვენებელთა აშკარა მოტყუების ფაქტები იყო. სავაჭრო ქსელში უპატიოსნო ადამიანები მუშაობდნენ. ჩოხატაურის რაიკოოპკავშირის გამგეობის უყურადღებობით კურორტის პურის საცხობის გამგედ მოაწყეს ვინმე ი. ცუცხაშვილი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულისათვის რამდენჯერმე იყო გასამართლებული. იგი მაღალი ხარისხის პურის ფქვილს ურევდა დაბალი ხარისხისაში და გადიდებულ ფასებში ჰყიდდა. კომბინატორებმა რაღაც ორ თვეში 64 ათას მანეთზე მეტი ჩაიჯიბეს. წელს ეს რომ არ გამეორდეს, საჭიროა კურორტის სავაჭრო დაწესებულებანი დაკომპლექტდეს ყოველმხრივ შემოწმებული კადრებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველო მოვალეა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ შესანიშნავ კურორტს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აბრეშუმის საჯიშე-სასელექციო სადგური

თელავი. (საკ. კორ.). თელავში გაიხსნა აბრეშუმის ჭიის საჯიშე-სასელექციო სადგური, რომელიც დაკომპლექტებულია მცოდნე და გამოცდილი კადრებით. სადგურის ამოცანაა იბრძოლოს აბრეშუმის ჭიის ჯიშებისათვის როგორც ბიოლოგიური, ისე ტექნოლოგიური ნიშანთვისებების შესანარჩუნებლად.

სადგური დაამზადებს აბრეშუმის ჭიის ოთხი კატეგორიის თესლს, რომლითაც მოამარაგებს საგრენაჟო ქარხნებს.

თ ა ფ ლ ი ზროამადლეებზე

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ წყალწმინდის კოლმეურნეობაში ამ ბოლო წლებში ხელი მოჰკიდეს მეფუტკრეობას. ახლა აქ რამდენიმე ათეული ოჯახი ფუტკარი ჰყავთ. თვითეულ სკაზე უკვე მიიღეს 14 კილოგრამამდე საუკეთესო ხარისხის თაფლი. კოლმეურნეებმა თვითეულ გამოძუშავებულ შრომადღეზე მიიღეს 50 გრამი თაფლი.

ფუტკარს კარგად უვლის ამ საქმის მცოდნე კოლმეურნე ი. პეტროვსკი. წელს წყალწმინდელები 3 ტონამდე თაფლს მიიღებენ.

უშიშროების საბჭოს

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკრესი). დღეს დილით გაიხსნა უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, მოწვეული შეერთებული შტატების მოთხოვნით ვითომდა ლიბანში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. ნამდვილად იგი მოწვეულია მხოლოდ იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დააყენოს მომხდარი ფაქტის — ლიბანში ამერიკის შეიარაღებული ძალების გადასხმის წინაშე, რომელიც საერთო აზრით, არის ერაყის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის პირველი ნაბიჯი და მზადება იმპერიალისტური სახელმწიფოების უფრო ფართო ცდისათვის ჩაბმონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელ არაბთა აღმოსავლეთში და აღადგინონ იქ თავისი კოლონიური პოზიციები.

სხდომის დასაწყისშივე სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა მოითხოვა, რომ გამორკვეულიყო ერაყის წარმომადგენლის რწმუნებათა საკითხი, რამდენადაც არის ცნობები იმის შესახებ, რომ ერაყის ახალმა რევოლუციურმა მთავრობამ ჩამოართვა რწმუნებები ერაყის ახლანდელ წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და უშიშროების საბჭოში და დანიშნა ახალი წარმომადგენლები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა, აიღო რა სიტყვა განმარტებისათვის, დაადასტურა, რომ მას მართლაც მიღებული აქვს ცნობა ერაყის წარმომადგენელთა შეცვლის შესახებ. მიუხედავად ამისა მან განაცხადა, რომ ეს ცნობა თითქოს ვერ გამოდგება საფუძვლად ერაყის ახლანდელი წარმომადგენლის რწმუნებათა გადასინჯვისათვის. ამასთან მან მოიყვანა უცნაური სბუთი იმის შესახებ, რომ იორდანიის მეფემ გამოაცხადა თავი ერაყის სახელმწიფოს მეთაურადაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ასეთ „განმარტებას“ არ დაეთანხმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი. არ შემიძლია დავეთანხმო, თქვა ა. ა. სობოლევმა, დებულებებს, რომლებიც გენერალურმა მდივანმა წამოაყენა უშიშროების საბჭოში ერაყის წარმომადგენლის რწმუნებათა შესახებ.

მე აღვნიშნავ, რომ გენერალურმა მდივანმა დაადასტურა, რომ არის ცნობები უშიშროების საბჭოში ერაყის წინანდელი წარმომადგენლისათვის რწმუნებათა ჩამორთმევის და ერაყის რევოლუციური მთავრობის ახალი წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. ამიტომ უშიშროების საბჭო სწორად მოიქცევა, თუ განიხილავს ერაყის ახალი წარმომადგენლის რწმუნებებს.

ინგლისისა და პანამის წარმომადგენლნი მოითხოვდნენ ერაყის წინანდელი წარმომადგენლის „კანონიერ უფლებათა“ აღიარებას. ინგლისის წარმომადგენელმა დიქსონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა არ ცნობს არავითარ სხვა მთავრობას ერაყში, გარდა მეფის მთავრობისა და მის მიერ თავის დროზე დანიშნული წარმომადგენლებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში. დიქსონის აზრით, ვითარება ერაყში „ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული“, და ამიტომ თითქოს არ არის საჭირო განხილულ იქნას ერაყის წარმომადგენლის რწმუნებათა საკითხი.

კვლავ აიღო რა სიტყვა, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ ახალი მთავრობის ცნობის თუ არ ცნობის საკითხს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმასთან, რომ ცნონ ამ მთავრობის უფლება დანიშნოს თავისი წარმომადგენლები უშიშროების საბჭოში.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას, განაცხადა მან, მიაჩნია, რომ ბ-ნი აბასის რწმუნებებს, რომელიც იყო ერაყის წინანდელი მთავრობის წარმომადგენელი, ამჟამად არა აქვს ძალა და რომ მას არა აქვს უფლება წარმოადგენდეს ერაყს უშიშროების საბჭოში.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ არაუბომ (კოლუმბია), დამოწმა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის „განმარტება“, შეწყვიტა ერაყის წარმომადგენლის რწმუნებათა საკითხის განხილვა. ამის შემდეგ უშიშროების საბჭომ დაამტკიცა დღევანდელი დღის წესრიგი. ლიბანის მთავრობის ა. წ. 22 მაისის წერილის საფუძველზე: „ლიბანის საჩივარი იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა ლიბანის საშინაო საქმეებში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩარევასთან დაკავშირებით და რომლის განგრძობა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას“.

კამათში პირველი გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი. მან სცადა ამერიკის ჯარების გადასხმა ლიბანში გაემართლებინა „ლიბანის საშინაო საქმეებში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩარევის“ დამოწმებით, თუმცა ყველასთვის ცნობილია, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის პირველივე საანგარიშო მოხსენებამ ცხადყო, რომ ეს ბრალდება სრულიად დაუსაბუთებელია. ლოჯმა გაიმეორა ეიზენჰაუერის განცხადება ლიბანში ჯარების გაგზავნის შესახებ.

თვალთმაქცურად დაიმოწმა რა „ტრადიციული საერთაშორისო სამართალი“, ლოჯმა განაცხადა, რომ „ლიბანში მდგომარეობის სტაბილიზაცია“ ერთადერთი მიზანია ამერიკის შეიარაღებული ძალების გადასხმისა ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ მან აქვე დაიწყო მსჯელობა „უშიშროებისადმი სერიოზული საფრთხის“ შესახებ, რომელსაც თითქოს წარმოადგენს რევოლუციური გადატრიალება ერაყში, რაც აშკარა ცდაა წინასწარ გაამართლონ ამერიკის ჯარების გამოყენება ერაყის ხალხის წინააღმდეგ. ლოჯმა ყოველ რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უწოდა „ფარული აგრესია“ და მოითხოვა კოლექტიური ღონისძიებანი მის ჩასახშობად.

შემდეგ გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი, რომელმაც მოახსენა უშიშროების საბჭოს, თუ როგორ სრულდება საბჭოს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის შექმნასა და გაგზავნას ლიბანის საზღვრებზე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან.

ლიბანის დელეგატმა აზკულმა გაიმეორა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მიმართ ბრალდება, რომელიც მან წინათ წამოაყენა.

ინგლისის წარმომადგენელმა დიქსონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა სავსებით იზიარებს შეერთებული შტატების მიერ თავისი შეიარაღებული ძალების გაგზავნას ახლო აღმოსავლეთში. ისე როგორც წინათ, ინგლისის წარმომადგენელმა გაიმეორა დაუსაბუთებელი მტკიცება ლიბანში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვითომდა „შეღწევის“ შესახებ. დიქსონმა, ისე როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენლებმა, დუმილით აუარა გვერდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის მოხსენებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა რაიმე „შეღწევა“ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზღვრით ლიბანში.

დიქსონმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა ახლო აღმოსავლეთში მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამო. მან მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეაჩეროს, დაგმოს და შეაკავოს „მეტად საშიში“ ტენდენციები ამ რაიონში.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი.

აღნიშნა რა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს აშკარად ჩაერიონ თავისი შეიარაღებული ძალებით არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში და დაიჩოქონ თავისუფლებისა და

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მწერალი ბორის ლავრენევი სოხუმში

სოხუმთან ახლოს, გულრიფშში, ისვენებს ცნობილი საბჭოთა მწერალი ბორის ანდრიას-ძე ლავრენევი.

ბ. ლავრენევმა ჩვენს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შემოქმედებითი უახლოესი გეგმები:

— გარდა იმისა, რომ მაყურებელმა ეკრანზე ნახა ჩემი მოთხრობის მიხედვით დადგმული კინოფილმი „ორმოცდაერთი“, კინოსტუდია „მოსფილმმა“ თავის გეგმაში შეიტანა ეკრანიზებისათვის კიდევ ერთი ჩემი მოთხრობა ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე — „გასროლა ნევიდან“, რომელსაც „ავრორას ზალპის“ სახელწოდებით დადგამს ახალგაზრდა რეჟისორი იური ვიშნევსკი. ფილმი „ავრორას ზალპი“ ასახავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებს, უჩვენებს მასში ბალტიის ფლოტის მატროსების მონაწილეობას.

— მთელი ჩემი ყურადღება, — განაგრძობს ბ. ლავრენევი, — ამჟამად მიმართულია ორი კაპიტალური რომანის — „დეკაბრისტების“ და „შავზღველების“ დასრულებისაკენ. რომან „დეკაბრისტების“ შექმნისათვის გამოვიყენე დიდძალი საარქივო მასალა. ჩემი კონსულტანტია აკადემიკოსი მ. ვ. ნეჩკინა, რომელმაც გამოაქვეყნა ორტომიანი ისტორიული ნარკვევი დეკაბრისტების აჯანყების შესახებ. რომანში მოქმედება იწყება 1820 წლიდან და მთავრდება დეკაბრისტების სასამართლო პროცესით, რომელიც ნიკოლოზ პირველმა მოაწყო.

— წელს, — თქვა ბ. ლავრენევმა, — მინდა აგრეთვე დავამთავრო რომანი — „შავზღველები“. ის მიძღვნილია სევასტოპოლის გმირი დამცველებისადმი, რომლებმაც დიდების თურაკლები ჩაწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში. ამ თემას უკვე მიეძღვნა ჩემი პიესა „სიმღერა შავზღველებზე“. რომელიც დადგა საბჭოთა არმიის ცენტრალურმა თეატრმა.

დასასრულ ბ. ლავრენევმა ილაპარაკა სოხუმის შესახებ, რომელსაც ის თვლის ერთ-ერთ საუკეთესო კურორტ-ქალაქად შავი ზღვის სანაპიროზე როგორც ჰავის, ისე ბუნების სილამაზის მხრივ.

* * *

სურათზე: ბ. ლავრენევი ზღვის პირას

ფოტო ს. კოროტკოვისა.

ბუდნებში და მეჩხერი ბაღ-ბოსტნების ნერგებით შევსება.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებამ დიდად გამოასწორა მდგომარეობა მებოსტნეობაში.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შემდეგ კოლმეურნეობებს დიდძალი ტექნიკა გადაეცათ. როგორ იყენებენ და უვლიან კოლმეურნეები ახალ ტექნიკას, როგორია მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება — ეს და ბევრი სხვა საკითხი ამჟამად ინსპექციის ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ამას წინათ ინსპექციის მუშაკებმა შეამოწმეს ეს საკითხი რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში და ადგილზევე მიიღეს ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

— ახლა ჩვენი ყურადღება მიპყრობილია მეცხოველეობის განვითარების საკითხზე, — ამბობს დასასრულ მ. იამანიძე და თან მაგიდაზე მინის ქვეშ მოთავსებულ ცხრილს სინჯავს, — ამ ცხრილის მიხედვით საქმე ცუდად როდი გვაქვს: აქვს თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 136 კილოგრამით მეტი რძე. მაგრამ ამით მაინც ვერ დავამყაყოფილდებით. აუცილებელია განვახორციელოთ ღონისძიებები გამორჩენილი ფერმების დასაწინაურებლად. მეცხოველეობაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან მაღლაკის წულუკიძის სახელობის, ფარცხანაყანევის ჟდანოვის სახელობის და მუხიანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები. საჭირო იქნება ქმედითი ზომების მიღება ამ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების უზრუნველსაყოფად.

— ინსპექციის მთავარი ზოოტექნიკოსი და სხვა სპეციალისტები უკვე ამუშავებენ ღონისძიებებს წველადობის შემდგომი გადიდების, სილოსის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად, — სიტყვა ჩაურთო მთავარმა აგრონომმა გ. გაბიძაშვილმა, რომელიც ეს არის შემოვიდა კაბინეტში.

საუბრიდან ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის ბრძოლაში ინსპექცია უნარიანად იყენებს მოწინავეთა გამოცდილებას. ამ მიზნით იგი უშვებს ბიულეტენებს, რომლებშიც მოთხრობილია მოწინავე მეცხოველეთა და მეჩაიეთა გამოცდილებაზე, დაბეჭდილია მათი პორტრეტები. უკანასკნელ ხანებში გამოცემულ ბიულეტენებში მოთხრობილია სოფელ გვიშტიბის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მწველავების ო. შვანგირაძის და თ. კუჭავას, მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავების ც. ქოსტავას და მ. ჭეიშვილის მოწინავე გამოცდილებაზე.

ინსპექციას გათვალისწინებული აქვს კოლმეურნეებისათვის მოაწყოს რამდენიმე ლექცია და საუბარი, მათ შორის ლექცია ნათესბალახიანი თესლბრუნვის მნიშვნელობის შესახებ.

სადღეისო, გადაუდებელ ამოცანებთან ერთად ინსპექციას პერსპექტიული საკითხების გადაწყვეტაც არ ავიწყდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ჩაის პლანტაციების მორწყვის საკითხი. ინსპექციის მუშაკებმა გვიამბეს, რომ ჩაის პლანტაციის მორწყვა ამ რამდენიმე წლის წინათ ცდის სახით პირველად სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყეს.

გამოუცდელი ადამიანები გაიძახოდნენ: რონის წყალი ბევრ კირს შეიცავს და ჩაის ბუჩქს გაახმობსო. მაგრამ ეს აზრი მცდარი აღმოჩნდა. პირიქით, სარწყავ პლანტაციაში ჩაის ფოთლის მოსავალი 6-7-ჯერ გადიდდა. ახლა ამ კოლმეურნეობაში 60 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია ირწყვება და მოსავალსაც უხვად იღებენ. ჯერ კიდევ 10 ივნისისათვის კოლმეურნეობას 140-ზე მეტი პროცენტით ჰქონდა შესრულებული ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა.

დიდი ღონისძიებები ხორციელდება ჩაის პლანტაციების მოსარწყავად სოფელ გვიშტიბის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ იწყობა ხელოვნური წვიმის დანადგარი. ამ სამუშაოს განხორციელება რამდენიმე ათეულ ტონა ჩაის ფოთოლს შემატებს კოლმეურნეობას.

— პრაქტიკამ გვიჩვენა, — გვეუბნება ინსპექციის მთავარი აგრონომი გ. გაბიძაშვილი, — რომ ჩაის პლანტაციის მორწყვა საუკეთესო შედეგებს იძლევა. ამიტომ განზრახულია უფრო ფართოდ განხორციელდეს ჩაის პლანტაციების მორწყვა. სამუშაოები ისე მიდის, რომ მომავალ წელს თერნალის უბანზე სულ ცოტა 600-700 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მორწყვადება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეჩაიეები ათასობით ტონა მეტ ჩაის ფოთოლს მიიღებენ.

— ჩვენი ინსპექცია სულ რამდენიმე თვეა მუშაობს, — თითქოს ბოდიშობსო, გვეუბნება საუბრის დასასრულს მ. იამანიძე, — ამიტომ ჩვენი გამოცდილება ჯერ კიდევ მცირეა. აი გვინახულეთ ოთხი-ხუთი თვის შემდეგ. მაშინ ალბათ უფრო მეტი გვექნება სათქმელიც და საჩვენებელიც.

დარწმუნებული ვართ, რომ ასეც იქნება.

ვ. შავგულიძე,
ო. კაციტაძე,
შ. ჯავახაძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

უშიშროების საბჭოში

(დასასრული)

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი არა მარტო ლიბანის, არამედ აგრეთვე არაბთა სხვა სახელმწიფოების ხალხები, ა. ა. სობოლევმა თქვა: ეს აქტი აღმაშფოთებელი დარღვევაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა, რომელიც კრძალავს ძალის როგორც საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალების გამოყენებას, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს და მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის გამოწვევაა. შამუნის თხოვნის ვერავითარი დამოწმება ვერ გაამართლებს აგრესიის ამ შეიარაღებულ აქტს, რადგან ეს თხოვნა სწორედ იმისათვის იყო ინსპირირებული, რომ დაეფარა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა არაბთა სამყაროს სახელმწიფოების საშინაო საქმეებში.

უშიშროების საბჭომ იმ მოვალეობის თანახმად, რომელსაც მას აკისრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საკითხებში, თქვა სობოლევმა, უნდა მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი იმისათვის, რომ შეწყვიტოს აგრესია არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ და უზრუნველყოს მშვიდობა და მყუდროება მსოფლიოს ამ რაიონში.

საბჭოთა დელეგაციას, თქვა ა. ა. სობოლევმა, შემოაქვს შემდეგი პროექტი რეზოლუციისა:

„უშიშროების საბჭო,

მოისმინა რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ცნობა ლიბანის ფარგლებში ამერიკის შეიარაღებული ძალების შეყვანის შესახებ, აღიარებს რა, რომ ამგვარი მოქმედება უხეში ჩარევაა არაბთა ქვეყნების ხალხთა საშინაო საქმეებში და ამის გამო ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს, გამოხატულს მის წესდებაში და კერძოდ მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში, რომელიც კრძალავს იმ საქმეებში ჩარევას, რომლებიც არსებითად ამა თუ იმ სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას შეადგენენ, ითვალისწინებს რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას,

მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს შეიარაღებული ჩარევა არაბთა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში და დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანის ტერიტორიიდან“. (საკდესი).

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის წარმომადგენელმა პიერ დე ვოსელმა, რომელიც პირველი გამოვიდა გუშინ დღის სხდომის დასაწყისში, მოიწონა შეერთებული შტატების მოქმედება. ამართლებდა რა მას იმის დამოწმებით, რომ საჭიროა ლიბანის დაცვა „გარედან ჩარევისაგან“, იგი ამავე დროს ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ლიბანში შეიყვანეს იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ „კონსტიტუციური წყობილების აღდგენას“.

საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა უფლებას იტოვებს „მიიღოს ყოველი ღონისძიება, რომელიც საჭირო იქნება საფრანგეთის მორალური და მატერიალური ინტერესების დასაცავად“ ლიბანში.

კანადის წარმომადგენელმა ჰოლმსმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს უჭერდა და უჭერს გაერთიანებული ერების ღონისძიებებს ლიბანში, გაგზავნა რა თავისი წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფში. ამასთან ჰოლმსი შეეკითხა ამერიკის შეერთებული შტატების სხვა პარტნიორებს, რომლებიც ამართლებენ შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევას არაბთა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში. ამერიკის ინტერვენციას კანადის წარმომადგენელმა უწოდა „დამატება“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებებისა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ჩანკაიშელმა სავსებით დაუჭირა მხარი ამერიკის ჯარების გაგზავნას ლიბანში.

შემდეგ გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი ლუტფი.

ლუტფიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ იყო არავითარი მიზეზი უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ მოწვევისათვის და მით უფრო ლიბანში ამერიკის ჯარების შეყვანისათვის და რომ უშიშროების საბჭოს წევრები შეკრიბეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინათ ისინი. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლები ლიბანში უფრო ნაკლებ ინტენსიური გახდა და დაისახა თვით ლიბანელებს შორის მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების შესაძლებლობა. ამერიკის ჯარების გადასხმა, განაცხადა მან, მხოლოდ გაუარესებს მდგომარეობას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეს ცალმხრივი გადაწყვეტილება არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. მით უფრო, რომ უკვე არის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ლიბანის საკითხზე, რომელსაც ხმა მისცეს თვით შეერთებულმა შტატებმა და რომელსაც ახორციელებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი. შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი არიან, დაიწყეს მოქმედება, რომელიც წარმოადგენს შეიარაღებულ აგრესიას და ჩარევას პატარა ქვეყნის საშინაო საქმეებში და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. ამ დიდმა სახელმწიფომ თავისი მოქმედებით საშიში პრეცედენტი შექმნა. და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილებისათვის, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს.

დასასრულ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაჩერებს ისტორიის მსვლელობას, ვერ შეაჩერებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განვითარებას.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ გამოსვლის მსურველი აღარავინ არის და რომ მას აქვს რეზოლუციის მხოლოდ საბჭოთა პროექტი. მან განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ უნდა ეყარა კენჭი ამ პროექტისათვის, მაგრამ ამჯობინებს ეს გაიკეთოს ხვალ, თუ ასეთი პროცედურის წინააღმდეგი არ იქნებიან.

საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს.

ერაყის ამბები

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, იმოწმებს რა ბაღდადის რადიოს, ბეირუთიდან იუწყება, ერაყის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნური საიდი ხალხმა შეიპყრო და მოკლა, ხოლო მისი გვამი მიიტანა მართლმსაჯულების სასახლესთან ბაღდადში.

ბეირუთი, 15 ივლისი. (საკდესი). ბაღდადის რადიოს ცნობებში აღნიშნულია, რომ რაიმე პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლება გამოიყენონ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, ერაყის რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებანი: აკრძალულია მიტინგები და კრებები, აკრძალულია იარაღის ტარება, შემოღებულია კომენდანტის საათი, ერაყის სახმელეთო და საჰაერო საზღვრები ჩაკეტილია განსაკუთრებულ გადაწყვეტილებამდე. გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ ერაყში მცხოვრებ ყველა უცხოელს, ისე როგორც მათ ქონებას, სიიმედოდ იცავს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები და მათ არავითარი საფრთხე არ მოელით.

დროებითმა სახელმწიფო საბჭომ გამოსცა დეკრეტი ერაყის 32 უმაღლესი თანამდებობის ოფიცრის თადარიგში გადარიცხვის შესახებ, რომლებიც მონარქისტულ რეჟიმს ემსახურებოდნენ. დათხოვნილთა შორის არიან გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი რაფიკ არეფი და სამხედრო-საჰაერო სამეფო ძალების ყოფილი უფროსი ჭაბერ ამბადი.

პარიზი, 15 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ლონდონიდან იუწყება, დღეს ნავთობის კომპანიის „ერაყ პეტროლეუმ კომპანის“ წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ, რამდენადაც მან იცის, ნავთობი ერაყიდან კვლავ მოდის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში ბანიასა და ტრიპოლში ნავთობსადენებით, რომლებიც სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე გადიან. ტანკერების დატვირთვა ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში ნორმალურად ხორციელდება.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობა

ბერლინი, 15 ივლისი. (საკდესი). გუშინ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის დილისა და საღამოს სხდომებზე კამათი გრძელდებოდა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. ნოიმანმა ილაპარაკა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების გრანდიოზულ პერსპექტივებზე. უდიდესი მუშაობა სოციალიზმის ასაშენებლად, რასაც ახორციელებენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასი და მთელი მოსახლეობა, განაცხადა ორატორმა, გამარჯვებით დაგვირგვინდება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობა იქნება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულების, მომძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მზარდი ურთიერთობის დემონსტრაცია.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჰაგერი, უმაღლესი სკოლის საქმეთა სტატს-მდივნის მოადგილე ფ. დელმი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კულტურის საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი ა. კურელა და სხვები.

ყრილობის დელეგატებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტუდე რადმანეშმა, ნორვეგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ე. ლეგლიენმა.

ამავე დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის დელეგაციამ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ჰ. მატერნის მეთაურობით და ყრილობაზე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს გერმანელი სოციალისტების ძეგლი ფრიდრიხ სფელდის სასფლაოზე. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის დელეგაციამ და კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე საბჭოთა მეომრების ძეგლი ტრეპტოვ-პარკში.

ყრილობის დღევანდელი სხდომა დაიწყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პ. ფერნერის სიტყვით. მან აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიული, პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის მაქსიმალური აქტივიზაცია პროფკავშირებში სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ო. ვინცერმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას მისი დიდსულოვანი აქტისათვის — იმისათვის, რომ მან უარი თქვა 1959 წლის 1 იანვრიდან 600 მილიონ მარკაზე, რასაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველწლიურად იხდის საბჭოთა ჯარების შესანახავად, რომელნიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან დროებით.

შემდეგ გამოვიდა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს პირველი მდივანი ქ. ნამოკელი, რომელმაც ილაპარაკა რესპუბლიკის ახალგაზრდობის მონაწილეობაზე სოციალისტურ მშენებლობაში.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მწერალ მ. ჩესნოჰელის გამოსვლა, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ რა როლი და ადგილი ეკუთვნის მწერალს თავისი ქვეყნის სოციალისტური მომავლის მშენებლობაში.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების რევიზიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს მიუძღვნა ვრცელი სიტყვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა პ. ფლორინმა:

თავმჯდომარემ შემდეგ გამოაცხადა, რომ ყრილობის მისასალმებლად მოვიდა ნორჩ პიონერთა და თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის დელეგაცია. დარბაზი აივსო ნაირფერადი მრავალი ათეული დროშითა და პლაკატით. პიონერებს მოაქვთ დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების მოდელები. ახალგაზრდობის წარმომადგენელნი გულითადი მისალმების სიტყვებით მიმართავენ დელეგატებს, მიართმევენ ყვავილების თაიგულებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებს და მომძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებს, რომელნიც პრეზიდიუმში არიან.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და ვ. ულბრიხტის მოხსენების გამო კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა. მან აღნიშნა, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობამ დაწერილებით განიხილა პარტიის გენერალური ხაზი.

ყრილობის მთელი მსვლელობა ცხადყოფს, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ვ. ულბრიხტმა, რომ რესპუბლიკაში ძირეული გარდაქმნები ხდება. ხალხის მასებთან მჭიდროდ დაკავშირებული პარტია მიდის წინ სოციალიზმისაკენ. მან გამოთქვა რწმენა, რომ დიადი მიზანი — სოციალიზმი მიღწეულ იქნება.

ამერიკის ჯარების გადასხმა ლიბანში

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკდესი). დღეს თეთრმა სახლმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარ ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფები გადასხდნენ ლიბანში.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშლის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ეს მოქმედება განხორციელდა ლიბანის პრეზიდენტის შამუნის დაბეჯითებითი თხოვნის პასუხად.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ლიბანში გადასხმულ ქვეგანაყოფთა შემადგენლობა 5.000 კაცს აღემატება.

„ჩვენ გუდაპეშტიდან ვართ“

თბილისში საგასტროლოდ იმყოფება და 15 ივლისიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში კონცერტებს მართავს უნგრელ მსახიობთა კოლექტივი 19 კაცის შემადგენლობით „ჩვენ ბუდაპეშტიდან ვართ“, რომლის შემადგენლობაში არის აგრეთვე ინსტრუმენტალური ანსამბლი „ჰარმონია“.

ეს კოლექტივი დაკომპლექტებულია უნგრეთის ოპერეტის, ესტრადისა და ვარიეტეს მსახიობებისაგან. პროგრამაში აქვთ არიები ცნობილი ოპერეტებიდან — „სილვა“, „მხიარული ქვრივი“, სანალეტო ცეკვა შტრაუსის „ცისფერი დუნაიდან“, აგრეთვე უნგრული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

კონცერტებში მონაწილეობას იღებენ ბუდაპეშტის ოპერის სახელმწიფო თეატრის პრიმადონა ჟუჟა პეტრეში, ამავე თეატრის სოლისტი ვიქტორ ფიულეპი, ბუდაპეშტის ოპერეტის თეატრის მსახიობები პრემიერი არპად ბაკშეი, მომღერალი ჭალი მაგდა დენეში, უნგრეთის ფილარმონიის სოლისტი ლაიოშ კერნეი და სხვ.

სურათებზე: ზემოთ — მომღერლები ჟუჟა პეტრეში და არპად ბაკშეი ასრულებენ არიებს ოპერეტებიდან; ქვემოთ — მსახიობ ჭემილ მარტინის გამოსვლა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჟურნალისტთა კავშირის შემოქმედებითი სემინარი

15-16 ივლისს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს გაზეთ „კომუნისტის“ კლუბში გამართა საქართველოს ჟურნალისტთა რესპუბლიკური შემოქმედებითი სემინარი. სემინარის მიზანი იყო ჩვენი რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების მუშაკთა შემოქმედებითი გასაუბრება და გამოცდილების გაზიარება ნარკვევის ჟანრის საკითხებზე.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ, გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ რედაქტორმა ი. ჩხიკვიშვილმა.

სემინარზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები, შეთბეჭდილებები და საუბრები: „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორის გ. ნატროშვილის — „ნარკვევი გაზეთში“, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მიერ მოსკოვში მოწვეული ნარკვევის მწერალთა სრულიადსაკავშირო სემინარის მონაწილეთა გაზეთ „კომუნისტის“ კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგის ვლ. თორდუას და გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ ლიტერატურული მუშაკის ი. გოცირიძის შთაბეჭდილებები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ უფროსი რედაქტორის ელ. უბილავას მოხსენება „ნარკვევის სიუჟეტი და კომპოზიცია“, ჟურნალისტ დ. ლომთათიძის—„ნარკვევი ეკონომიურ თემაზე“, გაზეთ „კომუნისტის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგის ბ. თათაროშვილის — „გაზეთებში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ნარკვევების მიმოხილვა“, გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის ნ. ნოეიცკის — „გაზეთებში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნარკვევების მიმოხილვა“, ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორის ს. ჩიქოვანის — „ნარკვევის ჟანრი ქართულ პროზაში“.

სემინარზე გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გ. სიხარულიძემ (სამტრედია), ვ. ლალიაშვილმა (ქუთაისი), ტ. ლისოვსკაიამ (ბათუმი) და მწერალმა ს. წვერავამ.

რედაქტორი პ. რატიანი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის მე-5 სამედიცინო სასწავლებელი აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1958-59 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის მეორე კურსზე.

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ფერშალ-ლაბორანტის სპეციალობით.

სასწავლებელში მიიღებიან ორიევ სქესის პირები 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მედალონსები დადგენილი ნორმის ფარგლებში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, დანარჩენები ამბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითზულება). აღნიშნულის გარდა იწარმოებს შემოწმებითი გამოცდა რუსულ ენაში. სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე შემოაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით:

1. განათლების მოწმობა (ატესტატი), დედანი. 2. დაბადების მოწმობის ასლი (შემოწმებული ნოტარიუსით) ან პასპორტი, 3. ავტობიოგრაფია, 4 სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ), 5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), 6. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის), 7. სამსახურიდან ცნობა თანამდებობისა და მუშაობის სტაჟის აღნიშვნით, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და რაიონული (ქალაქის) საბჭოს ან აღმასკომების მიერ შემოწმებული, 8. დახასიათება უკანასკნელი სამსახურის ადგილიდან, ხელმოწერილი დაწესებულების ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. მე-7 და მე-8 პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტებს ადგენს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს ორი ან მეტი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში დადგენილი ნორმის მიხედვით პირველ რიგში ჩაირიცხებიან: ა) ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები, ბ) სამამულო ომის მონაწილენი, გ) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული პირები. საბუთების მიღება იწარმოებს სასწავლებლის კანცელარიაში ა. წ. 31 ივლისამდე.

სასწავლებელში ჩარიცხულ მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია აკადემიური წარმატების და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ა. ჭავჭავაძის ქ. № 31.

დაიწყო ხელმოწერა

კომუნისტური და მუშათა პარტიების ყოველთვიური თეორიული საინფორმაციო ჟურნალზე **„მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“**, რომელიც გამოიცემოს იქნება ბრაღაში რუსულ, ალბანურ, ინგლისურ, ბულგარულ, უნგრულ, ვიეტნამურ, ესპანურ, ჩინურ, კორეულ, გერმანულ, პოლონურ, რუმინულ, ფრანგულ და ჩეხურ ენებზე.

ჟურნალი გამოვა სექტემბრიდან. თვეში ღირს 3 მანეთი, წლის ბოლომდე 12 მანეთი.

„სოიუზპეჩატი“.

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — კარმენ (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, სოფიის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის დიმიტრ უზუნოვის მონაწილეობით 8 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — უნგრეთის ოპერეტის, ესტრადის, ვარიეტეს მსახიობთა გასტროლები (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **კომუნარების ბაღი,** ისანი (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კომკავშირელი,** ალეხანოვის **სახელობის** კლუბი (საზამთრო), **კოროვის სახელობის** პარკი — სხვისი შვილები, ოქტომბერი, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **ჭავჭავაძის სახელობის** კლუბი (საზამთრო) — ისტორია ერთი რეპორტაჟისა, **ფილარმონიის ბაღი,** ისანი (საზაფხულო), **სპარტაკი, გორკის სახელობის** კულტურის **სახლი,** ოფიცერთა **სახლი** — ადამიანი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ვაკის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის** კულტურისა და დასვენების **ცენტრალური** პარკი, **ჭავჭავაძის სახელობის** კლუბი (საზაფხულო) — ახალგაზრდობის ქეჩა, **თბილისი** — ლამაზი მეგობარი, **26 კომისრის** სახელობის (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ძერჟინსკის** სახელობის (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო) — დამსახურეული ოცნებანი, **საქართველო** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო) ქორწინება ანგარიშით, **ცენტრალური** კულტურის **სახლი** (საზაფხულო) — ჩარლი ჩაპლინის კინოკომედიები, **სტალინის** სახელობის **კულტურისა** და **დასვენების** პარკი — გიორგი საკაძე (I და II სერია), **ყაზბეგი** — მომეცი ხელი, ჩემო სიცოცხლე.

ცნობა

ერაყი

არაბთა სახელმწიფო ერაყი ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს და ესაზღვრება ირანს, თურქეთს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონს, იორდანიას, საუდის არაბეთსა და კუვეიტს. ერაყის ტერიტორია 444,4 ათასი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა აღემატება 5 მილიონ კაცს, რომელთაგან დაახლოებით 80 პროცენტი არაბები არიან, 15 პროცენტი ქურთები. დედაქალაქია ბაღდადი, რომელშიც 552 ათასი მცხოვრებია. სხვა დიდი ქალაქებია მოსული — 340 ათასი, ბასრა — 206 ათასი, ქირკუკი — 148 ათასი მცხოვრები.

ერაყი ეკონომიურად სუსტად განვითარებული, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ქვეყანაა, სადაც ძლიერია ფეოდალიზმის გადმონაშთები. სხვადასხვა ტომები, რომლებიც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, მომთაბარეობას ეწევიან.

ერაყის მოსახლეობის ოთხი მეხუთედი სოფლის მეურნეობას მისდევს. ყველაზე მნიშვნელოვანი სამეურნეო კულტურებია ქერი, ფინიკი, ხორბალი, ბრინჯი, ბამბა. ფინიკის წარმოებით, რომელიც საზღვარგარეთ გაიქვიდ, ერაყს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

დასამუშავებლად ვარგისი 12 მილიონი ჰექტარი მიწიდან ფაქტიურად დამუშავებულია არაოდნეტეს 3 მილიონი ჰექტარისა. მიწის ძირითადი ნაწილი მემამულეებისა და ტომების შეიხების ხელშია, მიწის დიდი ნაკვეთები ბაღდადის რაიონში ინგლისს „კაპიტალს ეკუთვნის. ფელახები (გლეხები) მიწას იჯარით იღებენ „კაპიტალურ პირობებში და მიწის მფლობელებს მოსავლის 70 პროცენტს აძლევენ. სოფლის მეურნეობაში რაიმე მექანიზაცია არ არის. მიწათმოქმედების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნურ რწყვას, მაგრამ სარწყავი სისტემა მეტად დაბალ დონეზეა.

ერაყი მდიდარია ნავთობით, რომლის მარაგს 2.650 მილიონ ტონას ვარაუდობენ. ნავთობის მოპოვებით ერაყი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას. 1955 წელს მოპოვებულ იქნა 34 მილიონი ტონა, 1956 წელს — 31 მილიონი ტონა ნავთობი. ნავთობის მთავარ საბადოდან — კირკუკიდან გაყვანილია ნავთობსადენები ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებამდე — ტრიპოლამდე (ლიბანი) და ბანიასამდე (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონი).

მთელი ნავთობი უცხოეთის მონოპოლიების ხელშია. კონცესიები აქვს ინგლისის სამ კომპანიას — „ირაკ პეტროლიუმ კომპანის“, „მოსულ პეტროლეუმ კომპანის“ და „ბასრა პეტროლეუმ კომპანის“. ამ კომპანიების აქციები განაწილებულია ბრიტანეთის ნავთობის კომპანიას, ინგლის-ჰოლანდიის კომპანია „როიალ დატჩ შელს“, ამერიკის კონცერნებს „სტანდარდ ოილ ოფ ნიუ-ჯერსის“, „სტანდარდ ოილ ოფ კალიფორნიას“, „სოკონი მობილ ოილს“, „ტექსას ოილ კომპანისა“ და საფრანგეთის „კომპანი ფრანსეზ დიო პეტროლს“ შორის. ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავლის უდიდესი ნაწილი უცხოეთის მონოპოლიებს მიაქვთ.

ერაყში სრულებით არ არის საკუთარი მძიმე მრეწველობა. 1954 წელს აქ სულ 8 საწარმო იყო, რომლებშიც მუშათა რიცხვი 500-დან 1 ათასამდე კაცს აღწევდა, და 4 საწარმო ათას-ათასზე მეტი მუშით. მსუბუქ მრეწველობაში 2 ათასამდე წვრილი საწარმოა, რომლებიც უშვებენ აგურს, კრამიტს, შალისა და ბამბის ქსოვილებს, ცემენტს, შუშას და ა. შ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერაყი ფაქტიურად კოლონიურ დამოკიდებულებაში იყო. 1918 წლის ნოემბერში ინგლისის ჯარებმა, მიუხედავად ინგლისის დაპირებისა, რომ შექმნიდა არაბთა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, და წინააღმდეგ დაბაჯების პირობებისა, მოსულის ნავთობის რაიონის ოკუპაცია მოახდინეს და კონტროლი დაწესეს ნავთობის სიმდიდრეზე. ოკუპირებული ტერიტორია ინგლისელმა იმპერიალისტებმა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ დამპყრობლური მოქმედებისათვის გამოიყენეს.

1920 წელს ინგლისმა ხელში ჩაიგდო „მანდატი“ ახლად შექმნილ ერაყის სახელმწიფოზე. მას შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ერაყი ფაქტიურად ინგლისის იმპერიალიზმის კოლონიას წარმოადგენდა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეების ერთგულ დამქაშად ერაყში მრავალი წლის მანძილზე გამოდიოდა ნური საიდი, რომელსაც არაერთხელ ეჭირა სახელმწიფო პოსტები, თვით პრემიერ-მინისტრის პოსტამდე. ნური საიდი ეყრდნობოდა რეაქციულ ძალებს ერაყის შიგნით და იმპერიალისტების მხარდაჭერას და ულმობლად უსწორდებოდა ერაყის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ერაყის ათასობით პატრიოტი საპყრობილეებში იტანჯებოდა, პროგრესული პარტიები აკრძალული იყო, ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი — ჩახშობილი.

ერაყის ტერიტორიაზე ინგლისს მიცემული ჰქონდა სამხედრო-საჰაერო ბაზები. 1955 წლის იანვარში ერაყის მმართველმა წრეებმა შეწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ხოლო 1955 წლის თებერვალში ერაყმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტების მოთხოვნით ხელი მოაწერა სამხედრო ხელშეკრულებას თურქეთთან. ეს ხელშეკრულება გახდა ბირთვი ბაღდადის პაქტისა, რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლის იარაღს წარმოადგენს. ასრულებდა რა გარედან მიღებულ მითითებებს, წინააღმდეგ ეგვიპტის და სირიის ორგანული და კანონზომიერი გაერთიანებისა, რომლებმაც შექმნეს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ნური საიდმა შეაკოწიწა ხელოვნური არაბული ფედერაცია ერაყისა და იორდანიის შემადგენლობით.

ლიბანის სახალხო აჯანყების მასშტაბით დამფრთხალმა ნური საიდმა, იმის შიშით, რომ დამოუკიდ